ახალი ხარაგაული

№409 (17) 18 დეკემბერი, 2019 წ.

ნიკოლოზ თოფურიძე ტაძრის მშენებლობის ფონდის ხელმძღვანელობას შეხვდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდის ახალ ხელმძღვანელობას შეხვდა. მაცხოვრის შობისა და თორმეტი მოციქულის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ახლად შექმნილი ფონდის დამფუძნებელი მარგვეთისა და უბისის მთავარეპისკოპოსი მელქისედეკ ხაჩიძე გახლავთ, რომლის ლოცვა-კურთხევით მშენებლობის ფონდის ფინანსურ მენეჯერად ბერიკა დუშუაშვილი, ხოლო სამშენებლო მიმართულების ხელმძღვანელად ირაკლი ებანოიძე დაინიშნა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ წლის ბოლომდე ადგილობრივი ბიუჯეტიდან ტაძრის მეორე სართულზე შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოებისთვის 15 000 ლარი ჩაირიცხება.

აღსანიშნავია, რომ ტაძრის ეზოს, გალავნის და სამრეკლოს პროექტს სრულიად უსასყიდლოდ ამზადებს ირაკლი გოგოხია. ახალგაზრდა არქიტექტორი ხარაგაულში არასდროს იყო ნამყოფი. პირველად ერთი თვის წინ ჩამოვიდა და საკათედრო ტაძარს ესტუმრა. ხარაგაულელების

პატივისცემის ნიშნად, გაუჩნდა იდეა, საჩუქრად გააკეთოს პროექტი, რომელიც მისი დიზაინით კომპანია „ბიჯი ჯგუფში“ მომზადდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტაძრის დარბაზში იატაკქვეშა გათბობა დამონტაჟდება. აღნიშნული სამუშაოების შესრულებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა „მაქს თერმსმა.“

ტაძრის მშენებლობის ფონდს 2008-2019 წწ. ცეზარ ბუბულაშვილი ხელმძღვანელობდა. სწორედ მისი დაუღალავი შრომის შედეგია, რომ 20- საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ხარაგაულში საკათედრო ტაძარი აშენდა.

შეგახსენებთ, რომ შეიცვალა საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდის ანგარიშის ნომერი:

GE18LB0115168146434000 ლარი;
GE61LB0115168146434002 USD;
GE61LB0115168146434002 EUR.

ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ეტლები გადაეცათ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძემ ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საჩუქრად ეტლები გადასცა.

სოფელ ბორითში მცხოვრებ მარიამ ბლუაშვილს, მაისა კურტანიძესა და თენგიზ ბარბაქაძეს ეტლები ქალბატონმა მანანამ სახლში პირადად მიუტანა და მათ ჯანმრთელობის მდგომარეობას ადგილზე გაეცნო.

თანამედროვე, რბილი სავარძლები გადაეცათ მათ, ვისაც ან საერთოდ არ ჰქონდა ან ჰქონდათ, მაგრამ დაზიანებული იყო.

„ჩვენ მზად ვართ, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს გვერდით დავუდგეთ. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით სხვადასხვა სოციალური პროგრამებიც ხორციელდება. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც დიდ ყურადღებას საჭიროებენ და რაც შეგვეძლება, მაქსიმლურად დავეხმარებით,“ - აღნიშნა მანანა ბარბაქაძემ.

ინვალიდის ეტლი გსმ პირებს ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ (დირექტორი ეკა შავიძე) მხარდაჭერითა და საერთაშორისო ასოციაციის „ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისთვის“ ფინანსური ხელშეწყობით გადაეცათ. ცენტრის წარმომადგენელმა საცხოვრებელ სახლებში მისვლით განახორციელა თითოეული პირისათვის ზომების აღება და შესაბამისი კითხვარების შევსება.

მუნიციპალიტეტში სასოფლო ამბულატორიების რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში სასოფლო ამბულატორიებს რეაბილიტაცია უტარდება. ვახანში სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი აფრასიონ ლურსმანაშვილი და მერის წარმომადგენელი ვახანის ადმინისტრაციულ ერთეულში გია სებისკვერაძე.

მიმდინარე წელს, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სულ ოთხი სასოფლო ამბულატორია რეაბილიტირდა - ვახანი, ფარცხნალი, წყალაფორეთი და ხიდარი.

სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდიდან 53 600 ლარით დაფინანსდა და შპს „კეკემ“ შეასრულა.

აღსანიშნავია, რომ სასოფლო ამბულატორიების რეაბილიტაცია შემდგომ წლებშიც გაგრძელდება.

ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი დაჯილდოვდა

ხარაგაულის კინოთეატრში ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა სპექტაკლი „ხორუმი ქართული ცეკვაა“ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პედაგოგებისთვის გამართა. სპექტაკლი გურამ დოჩანაშვილის პიესის მიხედვით მერიის კულტურის სამსახურის უფროსის, ირინე ჩხეიძის, რეჟისორობით დაიდგა.

პიესა პატარა ქართულ ტრადიციულ სოფელში მცხოვრებ სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და ხასიათის ადამიანების ურთიერთობებზე ვითარდება. ერთი სოფლის მაგალითზე კარგად ჩანს ქართული

ხასიათი, სადაც პერსონაჟების საუბრები, ბჭობა, კამათი ქართველების დადებითსა და უარყოფით მხარეებს წარმოაჩენს. ეს ყველაფერი სპექტაკლში იუმორით, კრიტიკითა და ირონიით არის გადმოცემული.

სპექტაკლში მონაწილეობენ: ვასილ კიკნაძე, გიორგი მაქაძე, ბათუ კიკნაძე, ლია ჭიპაშვილი, ლუიზა კიკნაძე, ნიკო წიკლაური, ნიკუშა მაჭავარიანი, ნიკო დეკანოსიძე, ბიჭიკო მაისურაძე, მაია ბერაძე, როლანდ ხიჯაკაძე, გიორგი ჭიპაშვილი, დავით ჭყოიძე, ლია თაბუკაშვილი, ბექა ხიჯაკაძე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე დღის წინ სპექტაკლი ნაჩვენები იქნა ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში,რომელიც პიესის ავტორის, გურამ დოჩანაშვილის 80 წლის იუბილეს მიეძღვნა. ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი, ამ დღეს საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის „დრამფესტის“ ორგანიზატორების მიერ, თეატრის 120 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სპეციალური დიპლომით დაჯილდოვდა. ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრის რეჟისორმა და „დრამფესტის“ დამფუძნებელმა, ნუგზარ ბუცხრიკიძემ კი, დასი საერთაშორისო ფესტივალზე მიიწვია.

ხარაგაულის საპატიო მოქალაქეები უახლოეს მომავალში შეირჩევიან

„ხარაგაულის საპატიო მოქალაქის“ წოდება კიდევ რამდენიმე პიროვნებას მიენიჭება. ამის შესახებ ინფორმაცია საკრებულოს დეპუტატმა იუზა (ვალოდა)კელენჯერიძემ გააჟღერა. შეგახსენებთ, რომ ბატონი იუზა ,,ხარაგაულის საპატიო მოქალაქის“ წოდების მიმნიჭებელი კომისიის თავმჯდომარე გახლავთ. წევრები არიან: ირინე ჩხეიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); ინგა ბერაძე (კომისიის მდივანი); პაატა გოგოლაძე; გივი თხელიძე; ინგა მაღრაძე; ლალი სებისკვერაძე; ვლადიმერ გელაშვილი; დავით დევდარიანი; ჯაბა ბერაძე; მარინე ვეფხვაძე; მერი გიორგიძე; ამირან ოქრომჭედლიძე; გიორგი ბარბაქაძე და ვალერი გოგნაძე.

როგორც დებულებაშია აღნიშნული, ,,საპატიო მოქალაქის წოდება“ ენიჭება პიროვნებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლისა და დამსახურებისათვის, საგანგებო ვითარებისას გაწეული უანგარო სამსახურისათვის.

კანდიდატურის წამოყენება შეუძლია: საქართველოს პარლამენტის წევრს; მხარის რწმუნებულს-გუბერნატორს; მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიით შემადგენლობის 1/3; საკრებულოს თავმჯდომარეს; მუნიციპალიტეტის მერს; საზოგადოებრივ გაერთიანებას;

დასახელებული კანდიდატების შესახებ ცნობების შეჯერებასა და განხილვას აწარმოებს მუნიციპალიტეტის მერი და შესაბამისი კომისია.

საბოლოოდ, საპატიო მოქალაქის წოდებას ანიჭებს მერი. წოდების მინიჭების შემთხვევაში პიროვნებას გადაეცემა საპატიო მოქალაქის მოწმობა, დიპლომი და მედალი.

თუ ვის მიენიჭება ხარაგაულის საპატიო მოქალაქის წოდება, ამის შესახებ ცნობილი უახლოეს მომავალში გახდება.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ნიკოლოზ თოფურიძე მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს შეხვდა

ხარაგაულის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი შეხვედრა შედგა. სხდომაზე საბჭოს წევრებმა ხარაგაულის მერთან მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემატურ თემებზე ისაუბრეს და მათი მოგვარების გზებზე ერთობლივად იმსჯელეს.

შეხვედრას ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ჯაბა ბერაძე და ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი თემურ თაბუკაშვილი ესწრებოდნენ.

საბჭოს მხრიდან საუბარი შეეხო ისეთ პრობლემატურ საკითხებს, როგორებიცაა: უპატრონო ძაღლების სიმრავლე, გარე ფასადების მოწყობა, წყლისა და საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგება. საბჭოს ერთ-ერთი წევრის, შოთა გოლუბიანის, მიერ დაისვა „ცაშეკრულას“ კანიონის მოწესრიგების საკითხი.

პრობლემატურ საკითხთა სიაში ასევე იყო დევის გამოქვაბულისა და ჩხერის ციხის მიმდებარე ტერიტორიებისა და გარე განათების მოწყობა. საბჭოს წევრებმა ყურადღება გაამახვილეს სამშენებლო მასალებისათვის განკუთვნილი ნაგავსაყრელის არარსებობაზე. ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ჯაბა ბერაძე ამბობს, რომ დაბაში შესაბამისი ტერიტორია არაა და ასეთი ადგილის მოძიება მუნიციპალურ ცენტრთან ახლომდებარე სოფლებში მოხდება.

ნიკოლოზ თოფურიძის ინფორმაციით, ზემოხსენებული საკითხების უმრავლესობა გათვალისწინებულია ბიუჯეტში, ნაწილს კი, შესაბამის სამსახურებთან ერთად გაივლის და მოგვარების გზებს დასახავს.

მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო 2019 წლის დასაწყისში ახალი შემადგენლობით შეიქმნა, რომლის თავმჯდომარეც გახლავთ ლალი სებისკვერაძე. საბჭო კი, 11 წევრისგან შედგება.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში უფასო სამედიცინო აქციები გრძელდება

ხარაგაულის რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის ინიციატივით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით სამედიცინო გამოკვლევები გრძელდება. აქციის ფარგლებში უფასო გამოკვლევები ადგილზე ჩაუტარდათ საღანძილისა და ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ მოსახლეობას. აქციის მიმდინარეობას საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე და საღანძილის თემის მაჟორიტარი დეპუტატი დავით კიკნაძე დაესწრნენ.

უფასო კონსულტაციები და კვლევები ხარაგაულის კლინიკის ექიმებმა ჩაატარეს და ადგილობრივებმა მიიღეს: კარდიოლოგის, თერაპევტის, ქირურგისა და ენდოკრინოლოგის მომსახურება. ასევე ჩატარდა ექოსკოპიური და კარდიოგრაფიული კვლევები.

როგორც საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე აცხადებს, მსგავსი აქტივობები სოფლად მცხოვრებთათვის უმნიშვნელოვანესია, რადგან პაციენტებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროულ დიაგნოსტიკას. მისივე ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის ისეთ სოფლებში, სადაც სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა არაა, რეგიონალური ჯანდაცვის ხელშეწყობით ასეთი აქციები მომავალშიც აუცილებლად გაიმართება.

საღანძილის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით კიკნაძემ მადლობა გადაუხადა აქციის ორგანიზატორებს და იმედი გამოთქვა, რომ კლინიკის ხელმძღვანელობა აუცილებლად გააგრძელებს მსგავს ღონისძიებებს, რაც არაერთ მოქალაქეს დაეხმარება ჯანმრთელობის შენარჩუნებაში.

ეკა შავძე

„თქვენთვის შეტყობინებაა!“ - ხარაგაული ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირებისკენ მიმართულ კამპანიას გამოეხმაურა

„კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის“ მხარდაჭერით ხარაგაული ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირებისკენ მიმართულ კამპანიას გამოეხმაურა.

„თქვენთვის შეტყობინებაა!" - ასეთი იყო კამპანიის სახელწოდება, რომლის მიზანიც ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმებზე მოქალაქეების ინფორმირება გახლდათ.

ღონისძიება 16 - დღიანი კამპანიის ფარგლებში, გენდერული თანასწორობის საკითხებში მერის თანაშემწის, ინგა ბერაძის, ინიციატივითა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა.

შეხვედრა კინოთეატრში ჩატარდა და მასში მონაწილეობა ხარაგაულის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა, პედაგოგებმა, მშობლებმა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა წარმომადგენლებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა მიიღეს.

ღონისძიებას საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კამპანიის ფარგლებში მოეწყო თეატრალიზებული მონოლოგები და დისკუსიები, რომელმაც თვალსაჩინო გახადა ის უარყოფითი შედეგები, რასაც ბავშვები საბავშვო ბაღში, სკოლაში, თუ ოჯახში განცდილი ძალადობის შედეგად იღებენ. ასევე, გაიმართა თემატური პერფორმანსი და გამოფენა.

თეატრალიზებული მონოლოგებისას საზოგადოების წარმომადგენლებმა მოუსმინეს სხვადასხვა პერსონაჟის (მასწავლებელი, ბაღის მეთოდისტი, მშობელი, ბავშვები) რეალურ ისტორიებს, რომლის შემდგომაც გაიმართა დისკუსია.

შეხვედრის მოდერატორები გახლდნენ ბავშვთა ძალადობის შემცირებისაკენ მიძღვნილი კამპანიის „თქვენთვის შეტყობინებაა“ კოორდინატორი თინათინ ჭელიშვილი და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის წარმომადგენელი, განათლების სამართლის მკვლევარი, სამართალმცოდნე ბექა ძოწენიძე.

ღონისძიებაზე მრავალჯერ აღინიშნა ის ფაქტი, რომ ხარაგაული პირველი მუნიციპალიტეტია, რომელიც ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირებისკენ მიმართულ კამპანიას გამოეხმაურა.

როგორც თინათინ ჭელიშვილი ამბობს, დარბაზში იყო ძალიან ბევრი განსხვავებული აზრი და ბავშვებმა წამოწიეს საკითხები ბულინგთან, ძალადობასთან და ასევე თანასწორობასთან დაკავშირებით. ,,ძალიან მნიშვნელოვანია,

რომ პედაგოგები მოსწავლეებს აღიქვამდნენ თანასწორებად და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული იყოს მათი ურთიერთობა. მნიშვნელოვანია, სკოლებში შეიქმნას კლუბები, რათა ბავშვებმა თავად მოახდინონ იმ პრობლემების იდენტიფიცირება და რისკების შემცირება, რაც ბულინგსა და ძალადობას უკავშირდება. ასევე კარგი იქნება თუ მშობელთა კლუბები ჩამოყალიბდება, რომლებიც პოზიტიური აღზრდის მეთოდებზე იქნება მიმართული.“ -აღნიშნა ქალბატონმა თინათინმა.

ინგა ბერაძე - მერის თანაშემწე გენდერული თანასწორობის საკითხებში:

„შეხვედრაზე დაისვა შეკითხვა, თუ რამდენად იცნობენ საჯარო სკოლები ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) დოკუმენტს, როგორც რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტები. აღინიშნა, რომ რეფერირებაში ჩართულ ყველა დაწესებულებასა და ორგანოს, რომელსაც შეხება აქვს ბავშვებთან, ან მათს ოჯახებთან, ან იმ გარემოსთან, სადაც ბავშვი იმყოფება, ევალება ძალადობის შემთხვევის გამოვლენა. სწორედ ამიტომ ჩვენ მოვიწვიეთ სოციალური მუშაკი. მნიშვნელოვანია, საზოგადოებას ინფორმაცია ჰქონდეს იმ სერვისებზე, რომლებსაც მას სახელმწიფო სთავაზობს და თვითონაც ჩართული იყოს მათს განხორციელებაში.“

ხარაგაულის სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკის, ციური ჩუბინიძის, ინფორმაციით, ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, სახელმწიფო სთავაზობს ბავშვს სახელმწიფო მზრუნველობაში გადაყვანას, რაც შეიძლება იყოს მინდობითი აღზრდა. მისივე თქმით, მუნიციპალიტეტში ასეთი საჭიროება ჯერ არ ყოფილა, ძირითადად შემაკავებელი ორდერი იქნა გამოტანილი სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ და, ოჯახში ძალადობის ყველა შემთხვევაში, ბავშვები დარჩნენ ბიოლოგიურ ოჯახებში, რა თქმა უნდა, გაძლიერებული მონიტორინგის პირობებში.

ეკა შავიძე

მიწის ტკივილი...

მიმდინარე წლის 2 დეკემბერს თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გაიმართა პრემიერა ფილმისა „ფარცხნალი - კორიფეთა სამკვიდრო“, რომელმაც დიდი ემოციური ზეგავლენა მოახდინა მაყურებელზე.

აღნიშნული ფილმი არის ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრისა და თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან არსებული სტუდია „პიონერფილმის“ ერთობლივი ნამუშევარი. ფილმის პროდიუსერები არიან: ქალბატონი იზა ვეფხვაძე და ბატონი გრიგოლ ჩიგოგიძე, ფილმის რეჟისორია მარიამ (მაშო) გიგილაშვილი. ფილმში მონაწილეობენ ებრაელი და გერმანელი მოსწავლეები: ლეონ შავიტი და ნინა ზიგერი.

საზოგადოება განებივრებულია იზა ვეფხვაძის მიერ დადგმული სპექტაკლებით, მაგრამ ამ ფილმით იგი სრულიად განსხვავებული და ძალზე ორიგინალური კუთხით წარდგა მაყურებლის წინაშე. ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, თუ როგორი შემართებით იბრძვის იგი თავისი რაიონის წარმოსაჩენად, როგორ ეთაყვანება ხსოვნას იმ თანამემამულეებისას, რომელთაც ღირსეული კვალი დააჩნიეს ხარაგაულის ისტორიას. ამის დასტური გახლავთ იზა ვეფხვაძის მიერ გამოცემული წიგნი „ფარცხნალი - კორიფეთა სამკვიდრო,“ რომელიც საფუძვლად დაედო ამავე სახელწოდების ფილმს.

ფილმი სიმბოლურად იწყება და მთავრდება მამლის ყივილით, რომლის ხმა გასცდა დედამიწას და თითქოს ზეცას შეერწყა...

ფილმი არა მარტო ხარაგაულის სოფლებს ჩაჰბერავს სულს და გააცოცხლებს, არამედ მთელ საქართველოს ამცნობს მამლის ყივილით „მიწის ტკივილს,“ რომელიც თითქოს მიგვავიწყა ცხოვრების ორომტრიალმა...

მამლის ყივილი მალამოა იმ დაცლილი მთისა თუ ბარისა, სიცარიელე რომ შეუვსო ფილმის სიუჟეტმა, მიეფერა და გვამცნო, რომ კვლავ მამლის ყივილით უნდა გათენდეს ყოველი დღე წუთისოფლისა.

მინდა, საზოგადოებას ვაუწყო სასიამოვნო ამბავი, რომ უკვე მიმდინარეობს ფილმის თარგმნა ივრითულ და გერმანულ ენებზე, რაც იმის საფუძველი იქნება, რომ გაძლიერდება ისრაელისა და გერმანელი მაყურებლის ინტერესი ამ უნიკალური სოფლის მიმართ.

მადლობას ვუხდი ყველა იმ პიროვნებას, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ამ კეთილშობილურ მისიაში.

განუზომელია „მარადიული პიონერფილმელის,“ გამორჩეული, გულისხმიერი პედაგოგისა და რეჟისორის ბატონ გრიგოლ ჩიგოგიძის ღვაწლი; ასევე შეუფასებელია ქალბატონ იზა ვეფხვაძის უანგარობა და უკიდეგანო ენთუზიაზმი. ის მშობლიური კუთხის ყოველი გოჯი მიწის მზრუნველია, მისი წარსულის, აწმყოსა და მომავლის საიმედო გუშაგია.

ბოლოს კი ყველას მინდა შემოგთავაზოთ ჩემი 6-სტროფიანი ლექსიდან ამონარიდი:

„...რაც არ უნდა ყვავილებით
მოიქარგოს მთა და ბარი,
სად მამალი არა ყივის
იქ სიცოცხლეც აღარ არის!..“

უფალო! ნუ მოუშლი ჩემს საქართველოს მამლის ყივილს, სოფლების გაძლიერება-გაცოცხლებას და სოფლებსა და სრულიად საქართველოზე მზრუნველ მამულიშვილებს!

ლუარა ჭანტურია,
საქართველოს უზენაესი სასამართლოს მართლმსაჯულების მუზეუმის პასუხისმგებელი პირი, პოეტი, მწერალი

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარე წელს 133 პროექტი განხორციელდა

2019 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამების“ განსახორციელებლად 890 000 ლარი გამოიყო. ზემოხსენებული თანხით დაგეგმილი იყო 147 პროექტის განხორციელება. აღსანიშნავია, რომ მათგან 133 პროექტი უკვე დასრულებულია, ხოლო 14 მიმდინარეობს. როგორც ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურში განგვიმარტეს, სამუშაოები მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება.

ზემოხსენებული პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში ძირითადად გზებისა და წყლის სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდა. აქტუალური იყო ასევე სარიტუალო დარბაზებისა და სასაფლაოების კეთილმოწყობის საკითხებიც.

გთავაზობთ იმ პროექტთა ჩამონათვალს, რომელიც აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში: - გზების რეაბილიტაცია, გარე განათებისა და წყლის სისტემის მოწესრიგება;

ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში: - წყლის სისტემის მოწესრიგება, კულტურის სახლისათვის ინვენტარისა და საბავშვო ბაღის ეზოში ატრაქციონების შეძენა, სარიტუალო დარბაზების მოწყობა, წისქვილის შენობის აღდგენა, სასაფლაოს შემოღობვა, გზებისა და ხიდების მოწყობა - რეაბილიტაცია;

ვარძიის მეხუთე უბანში- წყლის სისტემა მოეწყო;

ვახანის ადმინისტრაციულ ერთეულში: - გზების, წისქვილის, წყლის სისტემისა და სარიტუალო დარბაზის კეთილმოწყობა;

ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულში: - სასაფლაოს შემოსაღობად მასალების შესყიდვა, სარიტუალო დარბაზებისა და წყლის სისტემის რეაბილიტაცია;

კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულში: - კიცხის საასაფლაოს შემოღობვა, კიცხის მემორიალის შესასვლელი ჭიშკრის მოწყობა, წყლის სისტემისა და გზების რეაბილიტაცია;

ლეღვნის ადმინისტრაციულ ერთეულში: - გზებისა და სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია;

ლაშის ადმინისტრაციულ ერთეულში: - გზის დახრეშვა, წისქვილის მუშაობისათვის საჭირო ძაბვის გაზრდა, წყლის სისტემისა და სანიაღვრე არხის მოწყობა;

მოლითის ადმინისტრაციულ ერთეულში: - სარიტუალო დარბაზისათვის საჭირო ინვენტარის შეძენა, სანიაღვრე არხებისა და წყლის სისტემის რეაბილიტაცია, გარე განათების მოწყობა, წისქვილის, სკვერის, გზების, თავშეყრის ადგილის რეაბილიტაცია და სასაფლაოს შემოღობვა;

ნადაბურის ადმინისტრაციულ ერთეულში: - სასაფლაოების შემოღობვა;

სარგვეშის ადმინისტრაციულ ერთეულში: - ბიბლიოთეკის ტერიტორიის კეთილმოწყობა, წისქვილისა და გზების რეაბილიტაცია;

საღანძილის ადმინისტრაციულ ერთეულში: - გზების რეაბილიტაცია, გარე განათებისა და წყლის სიტემის მოწყობა, სასაფლაოზე თავშეყრის ადგილის მოწყობა - რეაბილიტაცია;

ფარცხნალის ადმინისტრაციულ ერთეულში: - გარე განათებების მოწყობა, წისქვილის, ხიდების, წყლის სისტემისა და გზების რეაბილიტაცია, სასაფლაოს შემოღობვა, თავშეყრის ადგილის მოწყობა;

ხიდარში - სარიტუალო დარბაზის კეთილმოწყობა;

წყალაფორეთის ადმინისტრაციულ ერთეულში: - გზებისა და წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია;

წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში: - გარე განათების მოწყობა, წყლის სისტემის, ხიდისა და გზების რეაბილიტაცია;

ღორეშის ადმინისტრაციულ ერთეულში: - სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, საბავშვო ბაღისათვის სასრიალო ატრაქციონების შესყიდვა, წისქვილისა და მოსაცდელის რეაბილიტაცია;

ხუნევის ადმინისტრაციულ ერთეულში: - გარე განათების სისტემების მოწყობა, სასაფლაოების შემოღობვა, სარიტუალო დარბაზის დასრულება, სასაფლაოზე თავშეყრის ადგილის მოწყობა, სანიაღვრეების, ხიდისა და გზის რეაბილიტაცია;

ხევის ადმინისტრაციულ ერთეულში: - მინი მოედნის მოწყობა, წისქვილის, გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია.

თამარ მაღრაძე

ქართული ცეკვის რაინდი

არ მეგულება მოაზროვნე ადამიანი, რომ ანსამბლ „სუხიშვილების“ ხსენებაზე სიამაყის გრძნობა არ დაეუფლოს და, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს, თვალწინ არ გაუელვოს კადრებმა ცეცხლოვანი ცეკვით ანთებული ქართულჩოხიანი რაინდებისა და ტანკენარი ულამაზესი ასულებისა, რომელთაც დაიპყრეს მსოფლიო და მილიონობით მაყურებელს გაუძლიერეს სიმპათია და პატივისცემა იმ პატარა ქვეყნისადმი, რომელსაც საქართველო ჰქვია...

ბუნებრივია, ამ წერილის ავტორს არ ძალუძს, მოძებნოს მდიდარი ქართული ენის ლექსიკურ ფონდში ის სიტყვები, რომლებითაც სრულყოფილად შეიძლება შეფასდეს ის გენი, ის უსაზღვრო ნიჭიერება და პროფესიონალიზმი, რომლითაც „სუხიშვილებმა“ ხელთუქმნელი მარადიული ძეგლი დაუდგეს ქართულ ცეკვას...

* * *

2019 წელი, 20 ნოემბერი...

თბილისი, ბერძენიშვილის ქუჩა N1 (ყოფილი კუს ტბის გზა), ნატიფი გემოვნებით დაგეგმილი ეზო და უმშვენიერესი შენობა, რომელშიც განთავსებულია მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრი „მუზა.“

სასიამოვნო განწყობა იხატება ამ თვალსაჩინო ცენტრის ეზოში შემოსულთა სახეებზე... ღიმილის, სიხარულისა და ამაღლებული განწყობის მიზეზი კი ნამდვილად აქვს თითოეულ მათგანს, რადგან ყველამ იცის, რომ დღეს, საღამოს 6 საათზე იხსნება სუხიშვილების „ოქროს ხანის“ ლეგენდარული მოცეკვავის, ნინო რამიშვილის პარტნიორის, გამოჩენილი ფოტოხელოვანის, ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის თენგიზ უთმელიძის ფოტოგამოფენა „სუხიშვილები სცენაზე და სცენის მიღმა;“ შემდეგ კი ცენტრის უმშვენიერეს დარბაზში მათ უმასპინძლებს ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი იზა ვეფხვაძის საავტორო მონოსპექტაკლით „ქართული ცეკვის რაინდი,“ რომელიც ლეგენდარული ანსამბლის მართლაც ლეგენდარულ მოცეკვავეს, ჭეშმარიტ რაინდსა და სახელოვან ქართველს - თენგიზ უთმელიძეს- ეძღვნება... კაცს, რომელიც სამართლიანად ითვლება სუხიშვილების „ოქროს ხანის“ მემატიანედ, რომელიც ავტორია წიგნებისა: „რომანტიკული ფოტომატიანე“ და „როკვით განფენილი ქართული გენია;“ კაცი, რომელიც მრავალ პატრიოტულ საქმესთან ერთად თაოსანია „ქართული ქორეოგრაფიის დღის“ დაარსებისა (11 ივნისი).

* * *

დარბაზი ივსება თბილისისა და სრულიად საქართველოს ცნობილი და საყვარელი სახეებით, სუხიშვილების ყველა თაობის მოცეკვავეებით... სცენას ამშვენებს ორი დიდი ბანერი: თენგიზ უთმელიძის შეუდარებელი ნახტომი, რომელმაც მსოფლიო მოიარა და ცეკვა „ქართული“, რომელზეც სპექტაკლის გმირი ლეგენდარული ნინო რამიშვილის პარტნიორია.

დარბაზს ეფინება სასიამოვნო ჰანგები. როიალთან ცნობილი კომპოზიტორი მაყვალა ხორბალაძე, ვიოლინო - ნიჭიერთა ათწლედის ცნობილი პედაგოგი ქეთევან თავშავაძე.

წამიც და მქუხარე აპლოდისმენტების ფონზე სცენას იპყრობს იზა ვეფხვაძე... მისთვის ჩვეული დეკლამაციით გაისმის უმშვენიერესი ლექსის სტრიქონები:

„ჰაერში აჭრილი ქორივით, ბრძოლებში
ხმალდახმალ ჩართული,
გოგონას გოგმანი გნოლივით, შეხედეთ,
ცეკვაა ქართული!
იერი კოლხის თუ იბერის და თავის
განწირვა ართქმული,
მტერს ბრძოლის ველიდან მიდენის, შეხედეთ,
ცეკვაა ქართული!
წარმართის შუბლივით ამაყი, ზღაპარი,
არაკად ართქმული,
ვაჟკაცს რომ ტანს ჟრჟოლას დაგაყრის,
შეხედეთ, ცეკვაა ქართული!..“

ხშირად გვსმენია ფრთიანი ფრაზა „დიდება თვითონ გიპოვის!“ დიახ, ეს სრული ჭეშმარიტებაა და მისი წინამძღვარი, უპირველესი საფუძველი, როგორც ქართველი კაცი იტყვის, კაცურკაცობაა, შემდეგ კი თავდადებული შრომა, საქმის უკიდეგანო სიყვარული, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა და ნებისყოფის სიმტკიცე... ყველა ეს თვისება უფლის ძალამ სრულად დაავანა ჭეშმარიტი რაინდის - თენგიზ უთმელიძის სულში და სცენიდან სპექტაკლის ავტორი იზა ვეფხვაძე, რომლის გარეგნობასაც და აღნიშნულ სპექტაკლსაც ზუსტად ერწყმოდა ცნობილი ებრაელი დიზაინერის, აბრამ ბაზელის, სამოსი, თავისი მადლიანი ზეპირმეტყველებითა და უზადო არტისტიზმით, მაყურებლებს გვატარებს იმ გზებით, რომლებიც ქართული ცეკვის რაინდმა, თენგიზ უთმელიძემ, გაიარა...

* * *

1945 წლის პირველი სექტემბერი. საყვარელმა ბებომ ხელჩაკიდებულ ულამაზეს ბიჭუნას ფეხი თბილისის ვაჟთა 32-ე სკოლის კედლებში შეადგმევინა... მალევე გამოვლინდა მოსწავლის მრავალმხრივი ინტერესი. სწორედ ამგვარი დაუოკებელი ინტერესებიდან გამომდინარე, გახდა თენგიზ უთმელიძე თბილისის მოსწავლე- ახალგაზრდობის სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის წრის წევრი, რომელსაც ლეგენდარული ალექსანდრა ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა; ცეკვის, სპორტის წრეები, ფოტოხელოვნებით გატაცება და მშობლებისაგან საოცნებო

საჩუქარი - იმჟამინდელი ფოტოაპარატი „ლიუბიტელი,“ რომელიც თენგიზის განუყრელი თანამგზავრი გახდა...

სკოლის დამთავრების შემდეგ თენგიზ უთმელიძე სწავლას თბილისის სამთო-მეტალურგიულ ტექნიკუმში განაგრძობს. მალე მომხიბლავი ჭაბუკი აბესალომის როლზე მიიწვიეს კინოფილმში „ეთერის სიმღერა...“

განათლებისაკენ სწრაფვის მიზნით, თენგიზი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის სტუდენტი ხდება.

1957 წელი. პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველკურსელი თენგიზ უთმელიძე მოსკოვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-6 მსოფლიო ფესტივალის იმ ჯგუფში მოხვდა, რომელსაც უკვე აღიარებული მოცეკვავეები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი ხელმძღვანელობდნენ. თბილისში დაბრუნების შემდეგ, ილიკო სუხიშვილის უტყუარი ინტუიციით, 18 წლის თენგიზ უთმელიძეს, სტაჟირების პერიოდის გავლის გარეშე, სოლისტობაც ანდეს და ხელფასიც დაუნიშნეს. ინტერესმა და შრომისმოყვარეობამ ყოველგვარი პრობლემა გადალახა. თენგიზი დღესა და ღამეს ასწორებდა, ხვეწდა პლასტიკას, ილეთებს და ანსამბლის მთელ პროგრამას ორ თვეში დაეუფლა... მალე სხვა კუთხითაც შეესხა ფრთები მის შინაგან მოწოდებას - ჟურნალისტიკით გატაცებას - და იგი ქართველთა საუნივერსიტეტო განათლების ბალავრის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

ძვირფასო მკითხველო!

ამაოდ დავშვრებით, რადგან ძნელია, საგაზეთო სტატიაში კალმით აღვნუსხო თენგიზ უთმელიძის სახელოვანი გზის განსაკუთრებულად გამორჩეული მომენტებიც კი. ასეთი უამრავია იმ სახელოვან ბიოგრაფიაში, როდესაც ანსამბლმა და მისმა წევრებმა: უნატიფესმა ლატვრა ფოჩიანმა, განუმეორებელმა იამზე დოლაბერიძემ, მფრინავმა „ვეფხვმა“ ომარ მხეიძემ, ფეხის გასმის დიდოსტატმა ფრიდონ სულაბერიძემ, უმშვენიერესმა მანანა აბაზაძემ, ნინო კირვალიძემ, მარინა მხეიძემ, თამაზ კიკალიშვილმა, თენგიზ სუხიშვილმა, ინგა თევზაძემ, ლია ღოღელიანმა, ჯუმბერ ბერაძემ და მართლაც რუსთაველისეულმა ტარიელმა - თენგიზ უთმელიძემ და სხვებმა ლეგენდარულ წინამძღოლებთან ერთად ტრიუმფით მოიარეს მსოფლიოს 5 კონტინენტი, 90 ქვეყანა, 1500 ქალაქი, გამართეს 15 000 კონცერტი და ცეკვის ხელოვნების ზღაპრულ სამყაროს აზიარეს 50 მილიონზე მეტი მაყურებელი...

და მინდა, თენგიზ უთმელიძის დიდი გზა-სავალიდან ორი ეპიზოდი მაინც შემოგთავაზოთ, რომლებიც სცენაზე წარმოდგენილ ბანერებზე იყო ასახული...

ქართული ცეკვის რაინდის მოგონებებიდან

„... 1957 წელია.

შოტლანდიაში, გლაზგოს სამეფო თეატრში გამოვდივართ. ბატონი ილიკო უშმაკურად მიკრავს თვალს და მეუბნება: ვხედავ, უკვე მზად ხარ, შეასრულო ცეკვა „ქართული.“ გავუკეთოთ დღეს ნინოს სიურპრიზი, იცეკვე ზურაბ ქველიძის ნაცვლად!

როგორ, ვფიქრობ ჩემთვის, სამეფო თეატრში ასე მოულოდნელად, თან ერთი რეპეტიციაც არ გაგვივლია ერთად. ეს შესაძლებელია?! ვეჭვობ, ბატონი ილიკო აღარც მისმენს, უკვე ზურას ეთათბირება. მომარგეს მისი ჩოხა. აი, დასრულდა „ფარცა,“ ანსამბლი წრეზე გადანაწილდა, გაისმა ფალიაშვილის უკვდავი ჰანგები, უკვე გამოსვლის დროა! რას იზამს ნინო, სცენაზე რომ დამინახავს? ვფიქრობ, გამოვდივარ და დაბნეული მაყურებელს ვუხრი თავს... არც ტაში ახანებს, გამბედაობა მემატება და გაოცებული ქალბატონი ნინოსკენ „მივცურავ...“ დასრულდა ცეკვა! ქალბატონ ნინოს ხომ ქება არ უყვარდა, მაგრამ არც შენიშვნა მოუცია. ეს კი უკვე ქებაზე მეტს ნიშნავდა...“

შეგახსენებთ, რომ სამ წელზე მეტხანს ცეკვავდნენ ერთად ქალბატონი ნინო და თენგიზ უთმელიძე და ეს იყო სილამაზის, მშვენიერებისა და პლასტიკის ზეიმი, ქართული ცეკვა - ქართული ქორეოგრაფიის სული.

... 1960 წელი.

ანსამბლის მთლიანი შემადგენლობითა და ორსაათიანი პროგრამით საგასტროლოდ მიგვიწვიეს ამერიკის უდიდეს ქალაქებში. ქართული ცეკვით აღტაცებული სენსაციური წერილებითა და სათაურებით აჭრელდა ჟურნალ-გაზეთები: „დამაბრმავებელი სანახაობა,“ „აჰ, რა ლამაზები არიან ქართველები!,“ „თქვენ დაიპყარით კალიფორნია!,“ „არასოდეს, არასოდეს არ უნახავს ამერიკას ასეთი ბრწყინვალე სანახაობა!..“

აქვე ერთ ამბავსაც გავიხსენებ. ერთი ამერიკელი ფოტოკორესპონდენტი გადამეკიდა, სად შეიძლება, გარეთ, ბუნებაში გადავიღოთ თქვენი ნახტომი? გავიხუმრე, თუნდაც ტრამვაის თავზე - მეთქი. რაო? - გაოცდა კორესპონდენტი. მე სიტყვას ვეღარ გადავუხვიე, ვატმანი კი ძალიან შევაშინე და გავაოგნე. მაგრამ ავხტი ტრამვაის თავზე და მერე ამ სარეკლამო ფოტომ მთელი ამერიკა მოიარა...“

* * *

სპექტაკლის შემდეგ მაყურებელთა მადლიერებას ბოლო არ უჩანდა...

ფრიდონ სულაბერიძე - ანსამბლ „სუხიშვილების“ სოლისტი.

„რაღა უნდა ვთქვა იზა ვეფხვაძის შემდეგ, დღეს საოცრება ვნახე სცენაზე; ეს იყო არაჩვეულებრივი სპექტაკლი. ჩემ თვალწინ გაიარა ანსამბლის მთელმა ცხოვრებამ. ძალიან ბედნიერი ვარ, ბევრჯერ სიხარულის ცრემლიც მომერია...

თენგიზი მართლაც გამორჩეული სოლისტი გახლდათ ჩვენი ანსამბლისა თავისი გარეგნობითა და პროფესიონალიზმით. ის არის საუკეთესო მეგობარი. დღეს მართლაც იყო მისი საკადრისი სპექტაკლი.“

სცენაზე ადის ჩვენი თანამემამულე, ხარაგაულელთათვის საამაყო პიროვნება, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი მამუკა ლომიძე, რომელმაც შეასრულა რევაზ ლაღიძის „ჰიმნი ქუთაისს,“ რასაც ხანგრძლივი ტაში და ოვაციები მოჰყვა...

ამ დღისათვის სპეციალურად ჩამოვიდა ისრაელიდან ცნობილი ქართველი ებრაელი, არქიტექტორი და ბიზნესმენი პაატა იოსებაშვილი, რომელმაც თბილი სიტყვებით მიმართა სპექტაკლის გმირს, თენგიზ უთმელიძეს, ამ ლამაზი დღის შემოქმედს იზა ვეფხვაძესა და დამსწრე საზოგადოებას.

ცნობილმა ფოტოხელოვანმა ბადრი ვადაჭკორიამ სპექტაკლს გამოგნებელ - განმაცვიფრებელი უწოდა, ხოლო კოტე მახარაძის დიდმა მეგობარმა, ცნობილმა სპორტულმა კომენტატორმა, ჯამლეტ ხუხაშვილმა, რამდენჯერმე შეუერთა ოვაციებს სიტყვები: „იზა მეორე კოტე მახარაძეა!..“

არნახული სიამოვნება აღიბეჭდა ყველა იქ მყოფის სახეზე, როცა სცენაზე ქართული ცეკვის რაინდი თენგიზ უთმელიძე ავიდა. მან გულწრფელი მადლობა გადაუხადა სპექტაკლის ავტორს და აღნიშნა: ,,იზა ვეფხვაძე 25 წლის წინ გავიცანი, როცა ვმუშაობდი კულტურის სამინისტროში. დაიწყო და დაიწყო იქიდან და დღემდე გვანცვიფრებს. ის ქართული კულტურისა და სულიერების მატიანეს ქმნის და თუ მე ვარ ქართული ცეკვის რაინდი, სუხიშვილების მატიანის შემქმნელი, იზა ვეფხვაძე ქართული კულტურისა და სულიერების მატიანეს ქმნის...“

წერილში ზემოთ გამოვიყენე ფრთიანი ფრაზა: „დიდება თვითონ გიპოვის!“ რასაკვირველია, დიდებამ არ დააყოვნა, რომ „ეპოვა“ თენგიზ უთმელიძე, როგორც დიდი აკაკი ბრძანებდა: „სიყვარულსა მის მონაშუქს, მიაშუქა სიყვარული...“

ქართველმა ერმა თენგიზ უთმელიძეს დამსახურებულად უძღვნა უამრავი ჯილდო და აღიარება ღვაწლისა, აღიარება დიდი საქმისა, ჭეშმარიტი მამულიშვილობისა: საქართველოს სახალხო არტისტი; საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი; ქართული კულტურის რაინდი; ხელოვნების ქურუმი; ქართული ქორეოგრაფიის რაინდის ორდენის მფლობელი; ქართული კულტურის ამაგდარი; თბილისის საპატიო მოქალაქე; 2018 წელს ფილარმონიის წინ გაიხსნა თენგიზ უთმელიძის ვარსკვლავი.

ამ უმშვენიერეს საღამოს ჩვეული ოსტატობით უძღვებოდა ცნობილი ჟურნალისტი, ჭეშმარიტი ერისკაცი ივანე ჯავახიშვილი.

* * *

და, რადგან „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“ შევთხოვთ ზენაარს, რომ ჩვენს ერს, ჩვენს მამულს უმრავლოს ისეთი რაინდები, როგორიცაა თენგიზ უთმელიძე - ეტალონი ქართველობისა, ქართული გენისა, ჯიშ-ჯილაგისა...

დაე, „განმრავლდეს ტალანტი“ ქართული!
ჭეშმარიტად!
ამინ!

***P.S.** გაცნობებთ, რომ მომავალ წელს თენგიზ უთმელიძე სუხიშვილებისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენითა და აღნიშნული სპექტაკლით ეწვევა ხარაგაულს.*

მერი გიორგიძე

ხარაგაულის ლიტერატურული თეატრი ქუთაისის სტუდენტებთან

2019 წლის 27 ნოემბერი.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი.

ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი მართავს იზა ვეფხვაძის საავტორო სპექტაკლს „საქართველოს შიშველი სატევარი,“ რომელიც ეძღვნება მერაბ კოსტავას, ამ დიდი მამულიშვილის დაბადების 80 წლისთავს.

აღნიშნული სპექტაკლით ხარაგაულის სახალხო ლიტერატურული თეატრი მიწვეულ იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბევრ სხვა უმაღლეს სასწავლებელში.

ქუთაისის უნივერსიტეტში მიწვევის ორგანიზატორია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

ამ დარბაზში გვინახავს ერთმანეთზე უკეთესი გამომსვლელები, ძვირფასი სტუმრები, მაგრამ დღევანდელი მაინც განსაკუთრებულია...

სავსე დარბაზი საათ-ნახევრის განმავლობაში გარინდებული, ცრემლმორეული და გულანთებული უსმენს და უცქერს მსახიობის მონოსპექტაკლს.

* * *

იზა ვეფხვაძე - ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დამაარსებელი, პოეტი, მსახიობი, რეჟისორი, ყოველი სპექტაკლით თავისებურ ძეგლს უდგამს სასიქადულო მამულიშვილებს.

ეს ძეგლი კი მერაბ კოსტავას ეკუთვნის - მართლაც შიშველ სატევარს, ეროვნულ გმირს, სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლს, მისი ბედით დადარდიანებულს, ვინც თავის თანამებრძოლსა და „ძმას ქრისტესმიერს“ ასე მიმართავდა:

„ხომ ხედავ, როგორ გართულდა ომი?!
ვაჰ, თუ ძალები შემომელია,
თუმცა მარადში ვარ თანამდგომი,
ავთანდილობა ერთობ ძნელია“.

ყველამ ვიცით და გვახსოვს მერაბ კოსტავას ჭეშმარიტი ავთანდილობა.

ადვილი არ არის მონოსპექტაკლში ეროვნული გმირის გაცოცხლება.

იზა ვეხვაძეს ეს შეუძლია!

* * *

იზა ვეფხვაძემ ეს შეძლო!

სასიხარულოა, რომ ეს ქალბატონი ხარაგაულში მოღვაწეობს. რეგიონებში ასეთი ადამიანების არსებობა მნიშვნელოვანია ქვეყნის სიძლიერისთვის.

* * *

დარწმუნებული ვარ, აცრემლებული სტუდენტები, იზა ვეფხვაძის სპექტაკლზე რომ ვხედავდი, კიდევ უფრო შეიყვარებენ სამშობლოს და მისი თავისუფლებისათვის თავდადებულ გმირებს - მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას. ისინი ხომ მბრწყინავ რაინდებად დარჩნენ, თუმცა, ლექსში ზვიად გამსახურდია ამას წერდა:

„გვეტანებოდნენ ძაღლნი და ღორნი,
შემუსვრა სურდათ ელვარე ჭაღის,
მაგრამ ხომ დავრჩით მაინც ჩვენ ორნი,
მკრთალნი რაინდნი მწუხარე სახის“.

სოფიკო ჭუმბურიძე,
აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის დოქტორანტი

ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲛ ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲨᲘ 7 760 000 ᲚᲐᲠᲘᲡ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲗᲐ ᲜᲣᲡᲮᲐ ᲛᲝᲘᲬᲝᲜᲐ

დეპუტატებმა ინფრასტრუქტურულ პროექტთა ნუსხა მოიწონეს. საკითხი მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსმა პეტრე შარიქიძემ წარადგინა. მომხსენებლის ინფორმაციით, ხარაგაულში სამომავლოდ 7 760 000 ლარის ღირებულების 31 ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება იგეგმება, რომლებიც რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდება.

გთავაზობთ პროექტთა ნუსხას, რომელიც საკრებულომ მოიწონა:

დაბა ხარაგაულში მრავალბინიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) - პროექტის სავარაუდო ღირებულება 600 000 ლარი;

დაბა ხარაგაულის შემოვლითი გზის რეაბილიტაცია ხანდებიდან ცენტრალური ავტოსადგურის მიმართულებით (პირველი ეტაპი) სოფ: ბაზალეთის ასახვევამდე - პროექტის სავარაუდო ღირებულება 250 000 ლარი;

დაბა ხარაგაულში, კიკნაძის ქუჩის მეორე ჩიხში სანიაღვრე არხების მოწყობა - პროექტის სავარაუდო ღირებულება 150 000 ლარი;

ბორითის ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია - პროექტის სავარაუდო ღირებულება 250 000 ლარი;

გამოღმა ვაშლევის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) - პროექტის სავარაუდო ღირებულება 200 000 ლარი;

უბისა - ძინძიბოურის გზის რეაბილიტაცია (ღორეშის მხრიდან) - პროექტის სავარაუდო ღირებულება 350 000 ლარი;

ღორეშა-ბორითის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) - პროექტის სავარაუდო ღირებულება 300 000 ლარი;

ბორითის გოჭოურის უბნის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) - პროექტის სავარაუდო ღირებულება 250 000 ლარი;

წყალაფორეთში, პატარა ვარძიაში, დვლების უბნის გზის რეაბილიტაცია და ბუდიანეთის ცენტრალური გზის რეაბილიტაციის დასრულება - პროექტის სავარაუდო ღირებულება 250 000 ლარი;

ახალსოფლის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - პროექტის სავარაუდო ღირებულება 350 000 ლარი;

ჩხერის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) - პროექტის სავარაუდო ღირებულება 350 000 ლარი;

ჯაფარეულის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - პროექტის სავარაუდო ღირებულება 300 000 ლარი;

ვარძიის საუბნო გზის რეაბილიტაცია - პროექტის სავარაუდო ღირებულება 250 000 ლარი;

ვახანში საუბნო გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) - პროექტის სავარაუდო ღირებულება 250 000 ლარი;

ვერტყვილაში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია და ეკლესიის უბნის დასრულება - პროექტის სავარაუდო ღირებულება 200 000 ლარი;

წაქვის გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) - პროექტის სავარაუდო ღირებულება 200 000 ლარი;

ბაზალეთში, ნანიტაშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) - პროექტის სავარაუდო ღირებულება 200 000 ლარი;

თეთრაწყაროში საუბნო გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) - პროექტის სავარაუდო ღირებულება 200 000 ლარი;

თეთრაწყაროს ლურსმანაშვილების საუბნო გზების მობეტონება - პროექტის სავარაუდო ღირებულება 200 000 ლარი;

ნადაბურში, ძამულის უბანში, მცირე გამავლობის სამანქანო ხიდის მოწყობა - პროექტის სავარაუდო ღირებულება 250 000 ლარი;

ღორეშაში „ვაჟას ხეივნისა“ და შინმოუსვლელთა მემორიალის მიმდებარე სკვერის რეაბილიტაცია - პროექტის სავარაუდო ღირებულება 150 000 ლარი;

ღორეშაში, სასაფლაოს გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) - პროექტის სავარაუდო ღირებულება 200 000 ლარი;

ბუდიანეთი - წყალაფორეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - პროექტის სავარაუდო ღირებულება 250 000 ლარი;

ლაშეში, კვირიკაშვილებისა და პაქსაშვილების უბნის, გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) - პროექტის სავარაუდო ღირებულება 200 000 ლარი;

ღარიხევში ჭილოფის უბნის გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) -პროექტის სავარაუდო ღირებულება 180 000 ლარი;

ვანი - ღუდუმექეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - პროექტის სავარაუდო ღირებულება 350 000 ლარი;

ღვერკი-ხორითის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - პროექტის სავარაუდო ღირებულება 280 000 ლარი;

გედსამანიის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი, ბლიაძეების, ჩადუნელებისა და რიკაძეების უბანი) - პროექტის სავარაუდო ღირებულება 200 000 ლარი;

ზვარეში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) - პროექტის სავარაუდო ღირებულება 300 000 ლარი;

ღარიხევში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ბრუისის უბანი) - პროექტის სავარაუდო ღირებულება - 200 000 ლარი;

ციცქიურში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ზოსიაშვილების უბანი) - პროექტის სავარაუდო ღირებულება 100 000 ლარი.

თამარ მაღრაძე

თოჯინების თეატრი ხარაგაულის სოფლებში

ხარაგაულის კულტურის ცენტრთან არსებულმა თოჯინების თეატრმა (რეჟისორი ირინე ჩხეიძე), რომელიც 2009 წლიდან ფუნქციონირებს, საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისა და სკოლების მოსწავლეებისთვის სპექტაკლი „აბა, დამაცადეთ, თაგუნებო!“ გამართა. სპექტაკლი, რომელიც ეფემ ჩაპოვეცკის მოთხრობის მიხედვითაა დადგმული, თეატრმა გედსამანიასა და ლეღვანში გამართა. აღსაზრდელები დიდი ემოციებით ადევნებდნენ თვალყურს ორი თაგუნას-კიწისა და კიკის- თავგადასავალს დეიდა მარინეს სახლში. თაგვებისგან შეწუხებულმა მარტოხელა ქალმა სახლში ფისო მოიყვანა მათს მოსაგერიებლად, მაგრამ ნაცვლად მოგერიებისა, დამეგობრდნენ.

სპექტაკლში ირინე ჩხეიძე, ლუიზა კიკნაძე, მაია ბერაძე და გიორგი ჭიპაშვილი მონაწილეობდნენ.

აღსანიშნავია, რომ ქალბატონი ირინეს ინიციატივით საბავშვო სპექტაკლი მუნიციპალიტეტის სოფლებში სისტემატურად ეწყობა.

ხარაგაულში მაგიდის ჩოგბურთის ჩემპიონატი გაიმართა

,,სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ დარბაზში მაგიდის ჩოგბურთის ჩემპიონატი ჩატარდა, რომელშიც ხარაგაულის საჯარო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობდნენ. დაძაბული თამაშის შემდეგ საპრიზო ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

ვაჟებში პირველი ადგილი გიორგი ეჯიბაძემ დაიკავა, მეორე ადგილზე ნიკოლოზ კაციტაძე გავიდა, ხოლო მესამე ადგილი წილად ლუკა კვანტრიშვილს ხვდა. რაც შეეხება გოგონებს, პირველი ადგილის მფლობელი ნინო კავილაძე გახდა, მეორე ადგილს მაგდა თურმანიძე დაეუფლა, მესამეს კი - მარიამ ლაცაბიძე.

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში უსინათლოთა არაფორმალური განათლების პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება მოეწყო

ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში უსინათლოთა არაფორმალური განათლების ბენეფიციარებმა შემაჯამებელი ღონისძიება გამართეს. ღონისძიების ფარგლებში პროექტში ჩართულმა პირებმა მთელი წლის განმავლობაში შესწავლილი მასალის პრეზენტაცია წარმოადგინეს.

პროექტის მენეჯერის, გულიკო ჭარბაძის, ინფორმაციით, მხედველობაშეზღუდული პირები მთელი წლის განმავლობაში ეუფლებიან ბრაილის შრიფტს, ცენტრში ფუნქციონირებს ასევე ადაპტირებული კომპიუტერის შემსწავლელი, ლიტერატურისა და სამაგიდო თამაშების წრეები.

„ჩვენ ერთად ვართ, შემოგვიერთდით!“ - ამ დევიზის გარშემო ხარაგაულის უსინათლოთა

პროექტში 25 მხედველობაშეზღუდული ადამიანია ჩართული, მათგან 9 ბენეფიციარი მიმდინარე წელს დაემატა.

როგორც გულიკო ჭარბაძე აღნიშნავს, უსინათლოთა მხარდასაჭერად მართლაც მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, რომელშიც ადგილობრივ ხელისუფლებას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის.

პროექტის ფარგლებში ბენეფიციარები სწავლობენ: ინფორმაციულ ტექნოლოგიებს (ტრენერი ვასილ ლომიძე), ბრაილის შრიფტით წერა-კითხვას (ტრენერი მზია კურტანიძე), სამაგიდო თამაშებს (ტრენერი რომან შავიძე). პროექტის ფარგლებში ასევე ფუნქციონირებს ლიტერატურული წრე ხათუნა ლაბაძის ხელმძღვანელობით.

ღონისძიების დასასრულს პროექტის მენეჯერმა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

ეკა შავიძე

ხარაგაულელ სპორტსმენებს ძიუდოს ფედერაციამ საჩუქრები გადასცა

ხარაგაულის „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრთან“ არსებულ სოფელ ხევის ძიუდოს წრეს საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ საჩუქრები გამოუგზავნა.

აღსაზრდელებს ფედერაციის სპორტულმა დირექტორმა ზურაბ უსუფაშვილმა და ფედერაციის თანამშრომელმა კახა შარვაძემ ახალი ტატამი და კიმონოები პირადად გადასცეს.

ხევში ძიუდოს წრე 6 წელია, ფუნქციონირებს და მასში 22 სხვადასხვა ასაკის ბავშვი ირიცხება.

მწვრთნელი სოსო ხაჩიძე აღნიშნავს, რომ აღსაზრდელებისთვის ახალი ინვენტარი მნიშვნელოვანია და ისინი მეტი მოტივაციითა და მონდომებით გააგრძელებენ ვარჯიშს.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ფედერაციის ხელმძღვანელ პირებს გამოჩენილი ყურადღებისთვის და აღნიშნეს, რომ მათი თანადგომა ხელს უწყობს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

წუთისოფელს კაცად შერჩი ბოლომდე...
(ვარლამ ვეფხვაძის ნათელ ხსოვნას)

ჩვენო ვარლამ!

ოკრო-ბოკრო გზებით სვლას მუდამ ერიდებოდი ამქვეყნიურ ყოფაში და თავაწეული, ბუნებრივად ლაღად შემართული, მუდამ სწორ გზებს ეშურებოდი. ქონება -სიმდიდრის დაგროვებაზე არასდროს გიფიქრია და წამიერადაც არ ჩართულხარ იმ მარათონში, რომელიც სულს დაგიმძიმებდა. შენი ცხოვრების ორიენტირი და თანამგზავრი მხოლოდ სიკეთე და სიყვარული იყო.

თეთრაწყაროში ისეთ ოჯახში დაიბადე და აღიზარდე, რომელშიც მხოლოდ ალალმართლობა და შრომისმოყვარეობა იყო გამეფებული. ობლობის ხვედრმა ადრიანად დასუსხა შენი ბავშვობისა და მოსწავლეობის წლები. გასაჭირმა ცხოვრება გასწავლა, გამოგაწრთო და პრობლემებთან ბრძოლა გაგიადვილა.

ბედისწერამ ოჯახს მარჩენალი მამის დაკარგვა არ აკმარა და მალე უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტი დაც შეიწირა. მაშინ ყველაზე მეტად იგრძნო ოჯახმა და სოფელმა შენი ძალა, შენი შემართება. გვერდით დაუდექი სვეგამწარებულ დედას, მზრუნველობას არ აკლებდი დებსა და ძმას...

ვეფხვაძეების ოჯახში ჩაუქრობლად ენთო ცოდნის გზამკვლევი ლამპარი; ტექნიკური საგნები გიყვარდა და ინჟინრობაზე ოცნებობდი. თუმც დედას აუსრულე თხოვნა და გარდაცვლილი დის ხსოვნის უკვდავსაყოფად თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ფრანგული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი გახდი...

მიზანმიმართულ, წიგნიერ და შრომისმოყვარე ახალგაზრდას პროფესორ -მასწავლებლებისაგან გქონდა შემოთავაზება, რომ კათედრაზე დარჩენილიყავი და არჩეული სპეციალობის მწვერვალებზე შეგეღწია, მაგრამ პირადული წინსვლა ისევ ოჯახის საჭიროებას დაუქვემდებარე... ნამდვილად არ შემცდარხარ, რადგან სწორედ იმ საჭირო სფეროში აღმოჩნდი, სადაც მაქსიმალურად გამოვლინდა შენი პიროვნული შესაძლებლობანი: პედაგოგიური ტაქტი, პროფესიონალიზმი, ბავშვების უსაზღვრო სიყვარული.

პედაგოგიური ნათლობა წიფის სკოლაში მიიღე, შემდეგ ახალგახსნილ კიცხის სკოლა-ინტერნატში გადაინაცვლე; შენეული ხელწერა დატოვე ხიდრისა და კიცხის საშუალო სკოლებში, როგორც გულისხმიერმა ხელმძღვანელმა, სკოლის კოლექტივის ერთგულმა მეგობარმა, მომავალ თაობათა საიმედო მრჩეველმა და გზამკვლევმა. ბოლოს კვლავ სკოლა-ინტერნატს დაუბრუნდი და დიდი პედაგოგიური ასპარეზიც იქ დაასრულე...

სიყვარულითა და გულის კარნახით შექმენი ოჯახი. შენი რჩეული, ცხოვრების ერთგული თანამგზავრი ეგული არჯევანიძე, სწორედ კიცხის სკოლა - ინტერნატში გაიცანი. თქვენმა სიყვარულმა და ურთიერთობის მაღალზნეობრივმა ძალამ დროსა და ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო. სიყვარულითა და ურთიერთთანადგომით დააფრთიანეთ სამი შვილი, გაუკვალეთ გზები საზოგადოებაში დასამკვიდრებლად; გონივრულ რჩევა-დარიგებებს არ აკლებდი შვილიშვილებს - ლუკა, მარიამ, დემეტრე და ელენე ვეფხვაძეებს, ანა და საბა მესხებს - ფრთებს უმაგრებდი აქვეყნიური ცხოვრების უკიდეგანო სივრცეში ლაღად საფრენად.

ღირსეული ცხოვრებით გადაკეცე რვა ათეული წელი და იმედიანად შეუდექი მომავალი ათწლეულის აღმართს... თუმც არსთაგანმრიგემ მხოლოდ ორი წელი გამოიმეტა მზიან სამყაროში შენს დასარჩენად. ზღვა ცრემლმა გაგაცილა მარადიული სამყაროსაკენ და გვწამს, იქ დაიმკვიდრებ სავანეს, სადაც მართალნი განისვენებენ. თეთრაწყაროს ეკლესიის მფარველი ფაქუთის ანგელოზი წარუძღვება შენს წმინდა სულს ზეცისაკენ... აქ დარჩენილნი კი თვალს ვავლებთ რა თქვენს ცხოვრებას, სათუთად ვიმეორებთ პოეტის სიტყვებს:

„ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი,
ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი,
წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე -
თურმე ესეც გმირობაა დიდი!“

დიახ, ეს სიტყვები სრულ შესაბამისობაშია იმ პიროვნების ამქვეყნიურ ყოფასთან, რომლის გვარ-სახელი ვარლამ ვეფხვაძეა.

ეს გვარ-სახელი მარად იკაშკაშებს შენს ნალოლიავებ კერაზე, სამეზობლოში, საახლობლოში და ყველა იმ ადამიანის ხსოვნაში, ვინც შენ გიცნობდა, ვისაც შენთან ურთიერთობა ჰქონია. შთამომავლობისათვის კი ვარლამ ვეფხვაძე დარჩება სიყვარულის, კაცურკაცობის, უღალატო, ზნემაღალი პიროვნების ნათელ მაგალითად.

გზა მშვიდობისა მარადისობაში დასამკვიდრებლად, ღირსეულო ქართველო!

ამინ!

„მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ კოლექტივი

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი **დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12**